წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — პარასკევი, 1 მკათათვე 1916 წ. — № 146

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში; მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., [illegible] **ღებულ განცხადებაში** [illegible] სტრიქონი პეტიტი [illegible] 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიაროო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ЖУРНАЛ „САКАРТВЕЛО“

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

ხამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დღეში—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

უგულითადესს მადლობას მოვახსენებთ, ყველა იმ დაწესებულებას, ორგანიზაციას, თანამდებობის კაცთა და კერძო პირთ, რომელთაც კეთილ-ინებეს და სამძიმარი გამოგვიცხადეს პირის-პირ, დეპეშითა და წერილით და მით პატივი სცეს განსვენებულის

ალექსანდრე ყიფშიძის

ხსენებას.

სამშაბათს, 5 მკათათვეს, სოფ. **ქოდოლოში,** გარდაცვლის ორმოცის თავზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი, მის უდიდებულესობის დრგუნთა ნიკეგოროდის პოლკის პრაპორშჩიკ

თ-დ ივანე მალხაზ(ს ძის

ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **თ-დი მალხაზ არჩილის ძე და კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული შვილებითურთ.** პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე

(1—252—1)

კვირას, 3 მკათათვეს, შუადღის 12 საათზე, გარდაცვალების წლის თავზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი, განსვენებულ

აზნ. ვასილი დიმიტრის ძის

თულაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **იოსებ ნიკოლოზის ძე, გედევანიშვილი სახლობით.**

(1-251-1)

მწუხარებით გულდამწვარი **ელენე გრიგოლის ასული ტურიაშვილისა შვილებით და მიხეილ გიგოლის ძე სესიაშვილი ოჯახობით** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 თიბათვეს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, დაბა ესენტუკში სამკურნალოდ წასული, პირველისა საყვარელი მეუღლე, მეორეთა სიძე

ივანე სვიმონის ძე

ტურიაშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

(1-250-1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

პარასკევს, 1 მკათათვეს

სინემატოგრაფი, საზანდარი

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები შედიან საზოგადო წესით.

(1-160-1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფახები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	**ჩაი**
სადილები	**ყავა**
ვახშმები	**ხაჭაპური**
	პიროშკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა** მიიღებს **დედათა ხნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფახებში საუცხოო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

ვაკანსიები

პიროვნებით ხელმისაწდომ ფასებში

პრაპორშჩიკთა შკოლისათვის

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—18

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

—პროვიზორის აბგლედიანისა—

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს **თიბათვის** 15-დან **იღებს მანგლისში**

კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

თბილისი, 1 მკათათვე

მიწების შენარჩუნებისათვის.

დღეს ყველამ ვიცით, თუ სად მარხია თავი და თავი მიზეზი, რომ ქართველი ხალხის მოსახლეობის სიმკვიდრე საშინლად ირღვევა, თუ რისთვის ხდება რომ საქართველოს მიწა-წყლის მოძრაობა და მისი ხელიდან ხელში გადასვლა აშკარა ეროვნულ საფრთხესა და უბედურებას წარმოადგენს. არც ერთს ქვეყანაში, რომლის სახელმწიფოებრივ-ეროვნული არსებობა ბუნებრივი კალაპოტიდან არ ამოვარდნილა, უძრავ ქონების ამოძრავებასა და მოგზაურობას ერის ყოფნა განსაცდელში არ ჩაუგდია. რაც ერის ერთ წოდებას თუ კლასს დაუკარგავს ის ამავე ერის მეორე კლასის ხელში გადასულა. ქონებრივად და პოლიტიკურად გადაშენების გზაზედ დამდგარ წოდების გვერდით იზრდებოდა ჭაბუკი კლასი, მომავალი პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერების მატარებელი. გადაშენებული თავად-აზნაურობის მაგიერობა ყოველგან ამომავალ ეროვნულ ბურჟუაზიას გაუწევია. მემამულე არისტოკრატიის მიწა-წყალი ბურჟუაზიას შეუსყიდია და თან და თან მიწის მუშათა ხელში გადასულა. საცა ასე არ ყოფილა იქ ეროვნული სახელმწიფო ორგანიზაცია მისი კანონებით დარაჯად სდგომია ერის ტერიტორიას და ცხადია რომ ასეთ სახელმწიფოს საზღვრებში ეროვნული ბოროტმოქმედება ვერ მოხდებოდა. ჩვენში თავად-აზნაურობის თან და თანი დაქვეითება და დაუძლურება უფრო ადრე მოხდა ვიდრე ეროვნული ბურჟუაზიის აღმოცენება და წამოღონიერება. ხოლო ჩვენი სახელმწიფო-ეროვნული ორგანიზაციის დაშლა—თვით თავად-აზნაურთა წოდების ქონებრივ-ეროვნულ დაკნინებაზე უფრო ადრე. არც ედგა დარაჯად საქართველოს ტერიტორიას ეროვნული ბურჟუაზია. რაც ქართველ მემამულეთ მიწა-წყალი ეკარგებოდა ის ქართველ ბურჟუაზიის ხელში არ გადადიოდა; მას ვერც გაღატაკებული გლეხკაცობა იძენდა; ყველაფერს უცხო ტომის ხალხი ეპატრონებოდა. ახალის და ეკონომიურად ძლიერის კლასის უყოლობას პირველ ხანებში ერი უხიფათოდ აიტანდა, რომ ეროვნული უფლება არსებულიყო. ჩვენი უბედურების სათავე სწორედ აქ იყო. სწორედ ეს გარემოებაა რომ დღესაც ჩვენ ხალხს განსაცდელში ამყოფებს ეროვნული ტერიტორიის შენარჩუნებისა და ქართულ მოსახლეობის სიმკვიდრის დაცვის მხრივ.

მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ იძლევა იმის საბუთს, რომ

იმედ-გადაწყვეტილი

გავიძახოდეთ:

ყველაფერი ფუჭი არისო“. „ან ყველაფერი“, „ან არაფერის“ პრინციპი ქვეყნის დამღუპველია.

დღეს ქართველმა საზოგადოებამაც, ან მისმა უდიდესმა ნაწილმა მაინც, შეიგნო ამ პრინციპის სრული უბადრუკობა და უსიცოცხლობა. ყოველ პრაქტიკულ საკითხში ამ პრინციპის ხალხი მარცხდება და უკვე დამარცხებული იგი ორივე ხელებით სარგებლობს იმ შედეგით, რასაც ყოველმხრივი დათმობა და კომპრომისი იძლევა, პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ სფეროში. საღი გონების კაცისთვის დღეს მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მომავალი და ეს ცნობილი „ყველაფერი“ მხოლოდ ყოველდღიური საქმიანობისა, პატარ-პატარა ბრძოლისა და ორგანიზაციის საშუალებით ეღირსება განხორციელებას. საღი პოლიტიკის და საქმიანობის ფილოსოფია იმაში მდგომარეობს, რომ **არსებულს პირობებში** მაქსიმალურად დაიცვა შენი ინტერესი და თანდათან განიმზადო მომავალი,

დღეს ქართველი საზოგადოება საკმარისად გამოფხიზლდა, საკმარისად წამოიზარდა ჩვენი ეროვნული ბურჟუაზიაც. შეიქმნა მთელი წყება ობიექტიური პირობები, რომელნიც შესაძლებელ ჰყოფენ, რომ არც ერთი მტკაველი მიწა უცხო ტომის ხალხის ხელში არ გადავიდეს. მიუცილებლად საჭიროა დაარსდეს საგანგებო საზოგადოება, **ქართველ მიწა-წყლის მობილიზაციის** საზოგადოება, რომელიც უცხო ტომის მყიდველებს შეედავებოდეს ჩვენი მემამულეთა მიწა-წყლის შეძენაში. ამგვარი საზოგადოება ადვილად დასძლევს უცხო ტომის მყიდველებს, ვინაიდან თვით ჩვენი მემამულენი უფრო ნაკლებ ფასებში უთმობენ თავიანთ მამულს ქართველ მყიდველებს: ამის მაგალითს ყოველ დღე ვხედავთ. ამდენი „მსხვერპლის“ გაწევის შეგნება მათ უკვე აქვსთ. ასეთი საზოგადოება, რომელიც ცხადის ეროვნულის მიზნით იქნება შექმნილი, ქართველ მიწის მუშას თან და თან შეასყიდვინებს სახნავ-სათეს ადგილებს ხელმისაწვდომ პირობებში, თავისთავის დაუზარალებლად, რასაკვირველია. რაც შეეხება ფართე საექსპლუატაციო ადგილებს, იგი საზოგადოება თვით შეუდგება მათ ექსპლუატაციას, შიგ გააჩაღებს ცოცხალ საქმეს, შეჰქმნის შემოსავალის ახალ წყაროს და ადგილობრივ მცხოვრებთაც ახალ სამუშაოს გაუჩენს.

ეკონომიურის აუცილებლობით და ძალით გამოწვეულ ეროვნული ტერიტორიის დემობილიზაციას უნდა დაუპირისპიროთ ეკონომიური უპირატესობით აღჭურვილი ორგანიზაცია ეროვნული ტერიტორიის მობილიზაციისა. განზრახული საზოგადოება ეკონომიურ გამორჩენასაც მისცემს დამაარსებელთ და თანაც დიდ ეროვნულ დანიშნულებასაც შეასრულებს. იმედია შეგნებული და შეძლებული ქართველობა ამ საქმის მოსაგვარებლად საკმაო შნოსა და უნარს გამოიჩენს.

შეჯიბრება თუ გადაჭრილი ფასის დაწესება

არის მთავრობის ერთი აქტი, ამ ხსენებულ მამულების ლიკვიდაციას რომ შეეხება. აუცილებელია ამ აქტის გადასინჯვა და რევიზია. აუცილებელია მისი სრული უკუგდება, თუ კი გვინდა რომ ფიქციად არ დარჩნენ მთავრობის ღონისძიებანი და დაცული იქმნას თვით დედა-აზრი ამ ღონისძიებათა. უამისოდ ფუჭი იქნება მთელი ის აურ-ზაური და ალიაქოთი, რაიცა ასტეხა მთავრობამ გერმანელთა მამულების გარშემო. უამისოდ მიუღწეველი დარჩება მიზანი, რომელიც მთავრობამ დაისახა, სახელმწიფოს ინტერესი კვლავინდებურად განსაცდელში თავს ამოყოფს. ჭიათურის მადანი თავის სახელმწიფო მნიშვნელობით არსებითად განირჩევა გერმანელთა სხვა მამულებისაგან, რომელნიც უბრალო სახნავ-სათესსა და საფერმო ღირებულებას წარმოადგენს. ცნობილია მისი მნიშვნელობა სამეტალურგიო წარმოებებისათვის. ამ გარემოებისათვის მთავრობას უნდა ყურადღება მიექცია და განსაკუთრებულის სიფრთხილით აეწონ-დაეწონა ყოველი ნაბიჯი, რომელსაც გადადგამდა ამ მამულის სალიკვიდაციო პირობების დამუშავების დროს. უნდა სამწუხაროდ აღინიშნოს, რომ მთავრობის ერთს უმთავრესს და ქრონოლოგიურად თითქმის პირველ ნაბიჯს სწორედ ეს სიფრთხილე აკლია. თითქოს არა სჩანსო მდგომარეობის ღრმა მოაზრება და შეგნება, „ცხრაჯელ გაზომე და ერთჯელ გადაჭერ“ თითქოს უცნობი სიბრძნეა მისთვისო! მოვალენი ვართ ამ სავალალო გარემოებას მივაქციოთ ვისიც ჯერ არსყურადღება. გერმანელებზე ჩამორთმეული მამულები, და ისიც ისეთი მამული როგორიც შავი ქვაა, რომელიც მსოფლიო ბაზრის საქიშპო განძად არის მიჩნეული და პირდაპირ სახელმწიფო საჭიროების საგანს შეადგენს, უნდა ისეთ საზოგადოებათა და პირთა ხელში ჩავარდეს, რომელნიც ორგანიულად შენაწილებული იქნებიან მთავრობის სხეულთან და თავიანთ ბედ-იღბალს **გარემოების ძალით** სახელმწიფოს ბედ-იღბალს ვერ ჩამოაშორებენ. მხოლოდ ამგვარი თავდარიგიანობის დაჭერა მისცემდა მთავრობას მაქსიმუმ გარანტიას, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის მამული ჭირსა და ლხინში სანდო და მთავრობის ერთგულ მოსამსახურეთა, ხელში იქნებოდა, რომ საერთო განსაცდელის დროს იგი მამული საფრთხის სათავედ კი არა, ქვეყნად სიმტკიცის ბურჯად მოევლინებოდა. ამისთვის კი პირველი საზრუნავი ის უნდა ყოფილიყო რომ ჩამორთმეული მამულის გარშემო არ წარმოშობილიყო „აჟიოტაჟისა“ და სპეკულიატისათვის ხელსაყრელი პირობები, რომელნიც შემთხვევით, ანგარებიან და საეჭვო პირებს მოიზიდავდნენ. თავის თავის მოუფიქრებელი ღალატი სწორედ აქ ბოხდა. ძირითადი შეცდომა სწორედ აქ იქნა ჩადენილი! გერმანელთა შავქვიან მამულის განაღდებას მთავრობამ მყიდველთა შეჯიშპების (соревнованіе) პრინციპი დაუდვა საძირკვლად. უნდა გაიმართოს ჯიბრი მამულის შეძენის მსურველთა შორის. ამ წესის აღიარებით ყოვლად შეუძლებელი ხდება თუნდაც ერთი ისეთი პირობის დაცვა, რომელიც ოდნავ გარანტიას მაინც იძლეოდეს, რომ მამული წინანდელ მესაკუთრეთა მზგავს პირთა ხელში არ გადავა! ამ წესის წყალობით ირღვევა ყველაფერი, აზრი ეკარგება მთავრობის ორი თებერვლის კანონს და ყველა იმ ღონისძიებას, რაიც აქამომდე მას მიუღია. შეჯიბრება და შეჯიშპება რადგან შეწყნარებულია, ყველაფერი მორჩა და გათავდა. ყოველი ერთგული კლიენტი, მკვიდრი ადგილობრივი საზოგადოება იქნება იგი, მთავრობის უტყუარი მოკავშირე წოდება, თუ კერძო პირი,—სამთავეს **შეგნებულად** დაამარცხებს ბოროტის ზრახვით აღძრული საეჭვო კლიენტი რომელიც ჯიბრში ჩაუდგება პირველთ და მთავრობას მეტ ფულს შეაძლევს. და მოგეხსენებათ, სადაც ფარული განზრახვები მოქმედობენ, იქ მილიონ-

ნებს არ ანგარიშობენ. ფული ეშმაკსაც წაუღია, ოღონდ საქმე მოგვარდეს! შეჯიბრების წესია საქონელი მას შერჩეს, ვინც მეტს გამოიღებს. ხოლო საეჭვო კლიენტი უანგარო კლიენტზე რომ მეტს გაიმეტებს, ამას მტკიცება არ სჭირდება. და გერმანელთა ჭიათურის შავ-ქვიანი ადგილები, ამ წესის შემწეობით დარჩება არა იმათ, ვისაც ორი თებერვლის კანონი გულისხმობს და ვინც, სახელმწიფო ინტერესის თვალსაზრისით, სასურველია, არამედ სწორედ იმათ, ვისაც მთავრობა და რუსეთის სახელმწიფო ინტერესი შეგნებულად გაურბის. ამგვარად, ამ წესის გამოისობით მთავრობა სულ წინააღმდეგ შედეგს აღწევს და არა იმას, რასაც იგი უნდა ეტრფოდეს და ეტრფის კიდეც. ეს წესი შეუძლებელს ჰხდის **კლიენტის შერჩევას სახელმწიფო კეთილსაიმედოვნების მხრივ.** ამიტომაც ის ცნობა, ვითომც მთავრობა მყიდველებს თვით შეარჩევდეს და დაასახელებდეს, ან ყალბ ცნობად უნდა ჩაითვალოს, ან სრულ უაზროობად. ხსენებულს პირობებში, შეჯიბრების ნიადაგზე, ეს პირდაპირ შეუძლებელია. მაშინ თვით პრინციპი შეჯიბრებისა შეილახება და უქმდება. ორში ერთი, ან პირველი, ან მეორე. ერთიც და მეორეც ერთად მოუთავსებელია. ასეთ პირობებში უპირატესობა სწორედ კლიენტის შერჩევას უნდა დაეთმოს, რადგან მთავრობის მთავარ მიზანსაც და ორი თებერვლის კანონის აზრსაც მხოლოდ ეს შეეფერება. მაშასადამე, ყველა ზემო მოყვანილი მოსაზრების ძალით, მთავრობა უნდა მივიდეს ერთად-ერთ სავალდებულო დასკვნამდე: ჭიათურის მამულის ლიკვიდაციის საქმეში შეჯიბრების (სორევნოვანიეს) წესი, შექიშპების პრინციპი უნდა **გაუქმდეს.** ეს არის უაღრესი თავდები, რომ ხსენებული მამული, სახელმწიფო თვალსაზრისით, სანდო პატრონს და ერთგულ ქვეშევრდომს ჩაუვარდება ხელში. მინისტრთა საბჭო უნდა კვლავ დაუბრუნდეს თვის პირვანდელ დადგენილებას, გააუქმოს იგი. შეჯიბრების წესი უნდა უკუ აგდოს და დააწესოს გერმანელთა კუთვნილ ჭიათურის მამულზედ ერთი გადაჭრილი ფასი, რომელიც ამ მამულის სწორ შეფასებაზე იქნება დამყარებული. ეს ნაბიჯი, ძირითადი და თავი და თავი, სხვა გონივრულ ღონისძიებასთან ერთად შეჰქმნის გარანტიის მაქსიმუმს, რომ სახელმწიფო მიზანი მიღწეული იქნება და ორი თებერვლის კანონის აზრი სავსებით განაღდებული. და მთავრობის საგანიც ხომ ესაა. შეცდომას გისწორება უნდა. და გასწორება კიდევ მთავრობის ხელშია. არის ერთი ორი სხვა მოსაზრებაც შეჯიბრების წესის გაუქმების სასარგებლოდ. ამაზედ შემდეგში.

ს. კედია.

ომის ამბები

გრძოლის ველზე

რუსეთის საერთო შეტევა ისეთი დიდი გამარჯვებით სწარმოებს, რომ გერმანეთი იძულებული შეიქმნა მთავარი ყურადღება მიექცია აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზისათვის და შესაფერი ზომები მიეღო. ტყვეთა აუარებელი რიცხვი, მრავალი საუკეთესო სიმაგრეების აღება, რამოდენიმე ალაგას ბრძოლის ხაზის გარღვევა თავის-თავად იმის დამამტკიცებელია, რომ მტრის მდგომარეობა მეტად სახიფათო შეიქმნა. გერმანეთი ახლა კი დარწმუნდება, რომ რუსეთი ამ სრულიად მოკლე დროის განმავლობაში საკმარისად შეავსო ყოველგვარი ნაკლი და საერთო გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოემზადა.

როგორც ოფიციალ დეპეშებიდან სჩანს, გერმანეთს აუარებელი ჯარი გადმოჰყავს აღმოსავლეთ ასპარეზზე და ცდილობს რუსეთის ჯარი როგორმე შეაჩეროს. ახლა ბრძოლა გაჩაღებულია ბარანოვიჩის მიდამოებში და მდ. სტოხოდზედ. ამ ბუნებრივ სიმაგრეების დაკარგვა მეტად სამძიმო იქნება გერმანელებისათვის. რასაკვირველია, გერმანეთი არაფერს დაზოგავს როგორმე შეინარჩუნოს ეს მიდამოები. მათ სოფ. გრუშევკასთან კიდეც გადმოულახავთ ეს მდინარე, მაგრამ რუსეთის ჯარს წინ აღარ გაუშვია.

ახმაურდა აგრეთვე რიგა-დვინის ასპარეზიც. რუსების მხრივ შეტევა თითქოს ოდნავ განელდა კიდევაც. მაგრამ ამას სულ სხვა მიზეზი აქვს. რუსეთის მთავარი შტაბი ახლა, ალბად, ჯარების ახალ დანაწილებაშია და რა წამს ამ განაწილებას დაამთავრებს, უეჭველია უფრო მეტი სიმკაცრით დაიწყებს შეტევას.

დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზზე ინგლისელები და ფრანგები შეტევას განაგრძობენ. ინგლისელებმა რამოდენიმე სიმაგრე წაართვეს გერმანელებს. სამაგიეროდ გერმანელებმა ვოს ტყის სიმაგრეებზედ მიიტანეს იერიში და რამოდენიმე ადგილი ჩაიგდო ხელში.

კავკასიის ბრძოლის ველზე რუსის ჯარმა მამახათუნი აიღო. მტერმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდა და ისე მიანება თავი.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 28 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. მდ. სტოხოდის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა და გაძლიერებული არტილერიის საშუალებით მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევს. ბრიზა-ფუნდულ-მოლდაკას ხაზით, კიმპოლუნგის დასავლეთ-ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუ ვაგდეთ. ზოგ ადგილას მტერმა ვერ გაგვიძლო და გაიქცა. სად. ზამირეს, მინსკ-ბარანოვიჩის რკინის გზაზე, მტრის მფრინავები თავს დაესხნენ და 66 ყუმბარა ჩამოყარეს.

შავი ზღვა. კავკასიის ნაპირებთან მტრის წყალქვეშამ ჩვენი ცარიელი ტრანსპორტი ჩასძირა.

კავკასიის ასპარეზი. ბაიბურთის მიმართულებით ჩვენი მზვერავები მტრის მაღლობზე შეიპარა, დამცველები ამოხოცეს და ტყვიისმტყორცნელი წამოვიღეთ. სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ხელმეორედ აიღო მტრის მიერ გამაგრებული ადგილები, რომლებსაც ვამაგრებთ. 25 თიბათვეს ტყვედ წამოვიყვანეთ 30 აფიცერი და 350 ასკერი. დიარბექირის მიმართულებით გოინუკ-ოვას ხაზით ჩვენმა მოწინავე ჯარმა ადვილად მოიგერია მტერი.

შენიშვნა. გენ. ბრუსილოვის ჯარმა 22 მაისადან 27 თიბათვემდე ხელთ იგდო 5.620 აფიცერი, 266.000 ჯარისკაცი, 312 ზარბაზანი და 866 ტყვიისმტყორცნელი.

პეტროგრადი, 28 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. მდ. სტოხოდის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. მტერი აქ სიმკაცრეს იჩენს, ამასთან ერთად მტრის მფრინავები ჩვენ უკანა ჯარს თავს ესხმის და ყუმბარებს და ტყვიისმფრქვეველებიდან უშენს. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 28 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. რიგის ნაპირებიდან პოლესიამდე საარტილერიო და თოფის სროლაა. მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს სად. ზომირეში და ქ. ნესვიაზში, დაიწვა რამდენიმე სახლი. სტოხოდზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება. მტერი მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა სოფ. გრუშევკასთან (გულევიჩის ჩრდილოეთით), მაგრამ უკუ ვაგდეთ. 27 თიბათვეს გულევიჩის დასავლეთით 24 აფიცერი და 745 ჯარისკაცი ავსტრიელი და გერმანელი დავატყვევეთ.

ბალტიის ზღვა. ჩვენმა ნაღმოსნებმა ბოტნიის ყურეში გერმანელების ორი გემი დაიჭირა. ერთი ცარიელია, ხოლო მეორე რკინეულობით სავსე, ნაღმოსნებმა გემები ჩვენს ნავთსადგურში მოიყვანეს.

კავკასიის ასპარეზი. ერზრუმის დასავლეთით ჩვენი ჯარი წინ წაწიწია და მტრის სიმაგრეები დაიჭირა. 28 თიბათვეს იერიშის დროს მოგვიკლეს გამოჩენილი პოლკოვნიკი კვარტიკინი. 19—25 თიბათვემდე ხელთ ვიგდეთ 107 ოსმალთა აფიცერი, 1684 ასკერი, სამი ზარბზანი, 10 ტყვიისა და 4 ყუმბარისმტყორცნელი.

პეტროგრადი, 29 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა გერმანელები, რომლებიც იკსკიულის სიმაგრეებთან არტილერიას მიეზიდებოდნენ. სოფ. ჩერკასთან გერმანელებმა, საარტილერიო სროლის შემდეგ იერიში მოიტანეს, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. სტოხოდზე საარტილერიო ბრძოლაა. სოფ. კაშოვკის ადგილებში მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუვაგდეთ.

კავკასიის ასპარეზი. ერზრუმის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერი უკან დასწია და ბრძოლით ქ. მამახათუნი აიღეს. უკან დახევის დროს მტერმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლის ჩასაქრობად ზომები მივიღეთ.

—

ლონდონი, 27 თიბათვე. ოფიციალი. ამ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ბრძოლამ მკაცრი ხასიათი ტრონის ტყესთან მიიღო. ტყე გამაგრებული იყო თხრილებით და მავთულის ხლართებით. 25 თიბათვეს, დილით ჩვენ ტყის სამხრეთით გავმაგრდით, შემდეგ ჩვენ ადგილები ჩრდილოეთითაც გავაფართოვეთ, აქ მტრის მედგარი შეტევა მოვიგერიეთ. გუშინ საღამოთი მტერმა ტრონის ტყეს ყველა ყალიბის ყუმბარები დაუშინა, 8 საათზე ორი იერიში მოიტანა აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით პირველი იერიში მოვიგერიეთ, ხოლო მეორეზე მტერი ტყის სამხრეთით შეიჭრა, მაგრამ დიდის ზარალით განვდევნეთ. კონტალაეზინის ჩრდილო-დასავლეთით პატარა ტყე დავიჭირეთ. აქედან სამი ზარბაზანი წამოვიღეთ, დღეს დილით რამდენიმე ასი კაცი დავატყვევეთ. ფლანდრიის ხაზით მტერმა გააცხოველა ზარბაზნის სროლა და 3 საათის განმავლობაში ხოოტეს თხრილებს უშენდა. აქვე ჩვენ სამჯერ იერიში მივიტანეთ გერმანელების ბრძოლის პირველ ხაზზე.

პარიზი, 27 თიბათვე, ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით დღემ მშვიდათ ჩაიარა. სომის სამხრეთით ბიაშ და ბაილეს შუა ჩვენ წინ წავიწიეთ ბიაშის მიდამოებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ სიმაგრე, სადაც ტერი გამაგრებული იყო, აქ დავატყვევეთ 10 აფიცერი და 103 ჯარის კაცი. ბიაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით იერიშით „97“ მაღლობი და ზემო ნეტის ფერმა ავიღეთ. აქვე ახლო ჩვენ პატარა ტყე დავიჭირეთ. ვერდენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მტრისა ჩაჩუმა.

ჩვენმა მფრინავებმა საღამოთი მტრის თხრილებში მტრის ოთხი მფრინავი ჩამოაგდო.

პარიზი, 28 თიბათვე, ოფიციალი. სომის ორთავე ნაპირებზე ღამემ მშვიდათ ჩაიარა. ორი დღის განმავლობაში სულ 1,300 ჯარის კაცი დავატყვევეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურის და შატანკურის უბნებში მკაცრი სროლაა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფლესიდან შენუას აღმოსავლეთამდე გერმანელთა ზარბაზნის სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. დილის 4 საათ. აქ გერმანელებმა იერიში მოიტანეს და წინა თხრილები დაიჭირეს, საიდანაც მალე განვდევნეთ. გერმანელებმა მოულოდნელად მორმასის ტყეზე უშედეგო იერიში მოიტანეს. ლოტარინგიაში და ვოგეზებში გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ. ფონტენელის ჩრდილოეთით გერმანელების თხრილებზე ივრიში მივიტანეთ და გავმაგრდით.

პარიზი, 28 თიბათვე, ოფიციალი სომის ნაპირზე სიმშვიდეა. მცირე შეხლის შემდეგ მტერი ტყიდან განვდევნეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფლერი-ვო-შაპიტრ-ლეშენუას ხაზზე მტერმა იერიშები გააცხოველა. დიდი ცდის შემდეგ მტერმა შესძლო შეჭრა, სადაც ჩვენი ბატარეია იმყოფებოდა დანლუ-ფიუმენის ტყის ხაზით. მაასის მარჯვენა მხარეზე არტილერიის ჩვეულებრივი სროლაა.

28 თიბ. ღამე ჩვენმა მფრინავებმა სხვა და სხვა ადგილას 22 ყუმბარა ჩამოაგდო.

პარიზი, 29 თიბათვე. ოფიციალი. სომის ორთავ ნაპირზე სიმშვიდეა. სუასონსა და რეიმს შუა მცირე შეხლის დროს ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. შამპანში მეზონ-დე-შამპან და ვილ სიურ-ტურბ შუა გერმანელთა თხრილებზე იერიში მივიტანეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ფრანგებმა კონტრ-იერიშით დაიბრუნეს გუშინდელი დაკარგული ადგილები. ლოტარინგიაში რეილონის მიდამოებში თხრილებიდან გავდევნეთ.

ლონდონი, 27 თიბათვე. ოფიციალი. მეექვსე მკაცრი იერიშის შემდეგ გერმანელები ტრონის ტყეში შეიჭრნენ, ბრძოლა გრძელდება. დასავლეთით ჩვენ ადგილები დავიჭირეთ. ოვილესა და ლაბუასელის აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ.

ლონდონი, 28 თიბათვე. ოფიციალი. გუშინ ღამე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ იერიშით კონტალმეზონი ავიღეთ. აქედან ტყვეები წამოვიყვანეთ. მამეცის ტყის მომეტებული ნაწილი ჩვენ ხელშია. ტრონთან მკაცრი ბრძოლაა.

ლონდონი, 29 თიბათვე. ოფიციალი. ათი დღის გამუდმებულ ბრძოლის შემდეგ წინ წავიწიეთ და მრავალი გამაგრებული ადგილები ხელთ ვიგდეთ. ტორონის ტყე თითქმის სულ დავიბრუნეთ. აქ იარაღი და დავლა დაგვრჩა.

რომი, 27 თიბათვე. ოფიციალი. ადიჯესა და ბრენტას შუა გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა. მტრის არტილერიამ სხვა და სხვა ადგილებში ცეცხლი გაბმოიწვია. ტოფანეს და „7“ და „2“ მაღლობებ შუა ჩვენმა ალპელთა რაზმებმა წინ წაიწიეს. ტყვეები და დავლა ვიგდეთ ხელთ. მტრის მფრინავები ყუმბარებსა ჰყრიან.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა ბარანოვიჩთან.

როგორც ირკვევა ბარანოვიჩთან ბრძოლაში თავოსნობა რუსების ხელში ყოფილა. დილით რუსებს გერმანელთა თხრილებისათვის ზარბაზნები დაეშინათ, გერმანელებსაც პასუხი გაეცათ. შეჩერებულიყო თუ არა საარტილერიო ბრძოლა, რუსის ჯარს მტრის თხრილებისაკენ შეეტია. გერმანელებმა მათ იერიშს სასტიკი კონტრ-იერიშით უპასუხეს. ბრძოლა მავთულის ხლართებში გაჩაღებულიყო. თოფის და ყუმბარების სროლა ხელჩართულ ბრძოლად გადაქცეულა. გერმანელებს ახალ-ახალი ძალა მოდით. ბრძოლის ხაზი ყოველ საათს იზრდება. ბრძოლამ ზოგ ადგილას მკაცრი ხასიათი მიიღო.

გერმანელები ვერდენთან.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანელებმა ვერდენთან 3 მილი ვარ და 10,000 ზარბაზანს მოუყარეს თავი.

ფრანგ-ინგლისელთა შეტევა.

პარიზიდან მოსული ცნობით, ფრანგ-ინგლისელებმა ამ უკანასკნელ ხანში 13,500 ჯარის კაცი დაატყვევეს და 13 სოფელი აიღეს. სომის სამხრეთით ზოგ ადგილას გერმანელთა სიმაგრეთა მესამე ხაზია გარღვეული. ფრანგები პერონამდე 3 ნახ. ვერსის მანძილზე დგანან. პარიზში იმედი აქვთ, რომ ამ შეტევას თავიანთ სასარგებლოდ დაადგენენ. როგორც ირკვევა გერმანელები დიდი ხანია ელოდნენ ინგლისელთა შეტევას და სწორედ ეს ყოფილა იმის მიზეზი, რომ ინგლისელებმა უფრო ნაკლებ წაიწიეს წინ, ვიდრე ფრანგებმა სომის დასავლეთით, სადაც გერმანელები ნაკლებ ელოდნენ ფრანგთა შეტევას. ინგლისელთა გამარჯვება ფრიკურ, მამეტცა და მონტობანის დაპყრობაში გამოიხატა. ბუასელის აღებას გერმანელების ოლივიეს და ტიენვალის დაკარგვა მოჰყვება.

გენ. ჟოფრის განკარგულება.

პარიზიდან იტყობინებიან: მთავარსარდალი ჟოფრი ვერდენის დამცველ ჯარს ატყობინებს რუსთა გამარჯვებას გალიციაში და დასძენს, რომ მოკავშირეთა გეგმა განხორციელების გზას დაადგა.

ვერდენის ჯარო,—ნათქვამია განკარგულებაში,—თუ დღეს ჩვენ გამარჯვების გზას დავადექით, ეს თქვენი გმირული დაცვის ნაყოფია. თქვენმა წინააღმდეგობამ საერთოდ ბრძოლის ველზე ისეთი პირობები შექმნა, რომ ახლო მომავალში მოწამენი გავხდებით ჩვენი სამართლიან გამარჯვებისა.

ვილჰელმი მდ. სომის ასპარეზზე.

ბაზელიდან იტყობინებიან: იმპერატორი ვილჰელმი გერმანეთის მეორე არმიის ასპარეზზე მოვიდა. ამ ჯარს მდ. სომის ჩრდილოეთ ადგილები უჭირავს. როგორც გაზეთები იტყობინებიან ვილჰელმმა ბავარიის მეფე ლიუდვიგი ინახულა. ლიუდვიგსაც თავის მხრივ ლილის მიდამოებში ბავარიის მემკვიდრე რუპრეხში ენახა. „ფრანკფურ. ცაიტუნგის“ სიტყვით ეს მოგზაურობა დაკავშირებულია ფრანგთა და ინგლისელთა შეტევასთან ჩრდილოეთით არმარტერი, ლილ და იპრის ხაზით. გერმანელები დარწმუნებულნი არიან, რომ მოკავშირენი სწორედ ამ ადგილებში მიიტანენ მთავარ იერიშებს.

რუსეთ-იაპონიის პოლიტიკური კონვენცია.

პეტროგრადი. (ოფიციალი). 20 თიბათვეს გარეშე საქმეთა მინისტრმა და იაპონიის ელჩმა პეტროგრადში შემდეგ პოლიტიკურ კონვენციას მოაწერეს ხელი.

რუსეთის და იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტეს, შეერთებულის ძალით მშვიდობიანობის დასამყარებლად შორეულ-აღმოსავლეთში დაადგინონ შემდეგი:

მუხლი 1. რუსეთი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს შეთანხმებაში

თეიმურაზ ბატონიშვილი

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 144)

ერთხელ თეირანის მახლობლათ აბას მირზას ჯარი იდგა. მარტის გასულს 1804 წ. აქვე იყვნენ ბატონიშვილები ალექსანდრე და თეიმურაზი. აქ თბილისის აოხრების ჟამს (1795 წ.) ტყვედ წაყვანილმა ვიღაც დედაკაცმა მიართვა თეიმურაზს ერთი ქართული ხელნაწერი „შემოკლებითი ახსნა პერი არმენიის წიგნთა.“ ამით ნასიამოვნებმა თეიმურაზმა მაშინვე თავის ხელით წააწერა ბოლოში: „ქ. საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ ვიყავ რა თეირანს ხელმწიფებასა ფათალ-შაჰისასა, აბაზმირზას უკვე უბოძა ჯარი და ვიახელით ჩვენც თან მეფის ძე ალექსანდრე და მეფის ძე თეიმურაზ, გამოვედით თერანით მარტს, კბ, წელსა, ჩყდ, მოვარე ზილაჯი იყო ვზ, წელსა მას თაგვობისასა. ეს წიგნი თერანის ზღუდეს გარე ვსდეგით რა მუნ, ტყვეს ვისმე ტფილისელს დედათაგანს გამოეგზავნა, რომელიც რომ ტფილის აღამაჰმად ხანის გამოსვლის ჟამსა ტყვე ქმნილ იყო“.[1])

აქვე სპარსეთში ყოფნის დროს თეიმურაზმა შეადგინა—„აღწერა აწინდელთა სპარსეთისა ყეენთა (ანუ შაჰთა) და გვარეულებისათვის ყაჯართასა, თუ საითგან წარმოებენ. მოკლეთ მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ შეთხზული და აღწერილი და სამეუფოსა კარისა მათისა განგებანი, რომელიცა წელსა 1811 ჟამსა მოსვლისა თვისისა თავისუფლათ აქა სანკ-პეტერბურგს აღუწერა გრაფს კანცელარ ნიკოლაი პეტროვიჩს რუმიანცოვსა“.[2]) თეიმურაზის წასვლა ალექსანდრესთან სპარსეთში ფრიად საწყენათ დარჩა ახლათ ფეხმოკიდებულს რუსის გამგეობას, მეტადრე მთავარმართებლებს და ძალიან ცდილობდნენ როგორმე მოეყვანათ თეიმურაზი და შეჰრიგებოდნენ. თეიმურაზის სპარსეთიდგან მოყვანას გულმოდგინეთ შეუდგა 1809 წ. სექტემბრითგან მთავარმართებელი ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვი. ამ საქმეს ძალიან ხელი შეუწყო მეფის ასულმა რიფსიმემ, თეიმურაზის დამ. იმ ხანათ მეფის ქალებთან კარის ბოქაულათ მიჩენილი იყო კოლლეეესკი ასსესორი გაბრიელ წინამძღვაროვი. აი სწორეთ ეს პრისტავი შეუჩინეს თეიმურაზის ლალას ყარიბ პეტრე დარაძეს—წადი და შენი გაზრდილი თეიმურაზი მოიყვანეო. მრავალის წყალობის დაპირებითა მოფერებით პეტრე დაიყოლიეს ამ საქმეზედ, რაკი გულზედ ერთი დიდი დარდი ეწვა და მისი გამთელება უნდოდა.[3])

[1]) ეს ხელნაწერი დღეს საეკლესიო მუზეუმშია.

[2]) იხ. Свѣдѣнія III, გვ. 134.

[3]) აი პეტრეს დარდი რა იყო: 1747 წელს, აპრილის გასულს შაჰნადირთან 1810 წ. იანვრის დამდეგს პეტრე დარაძე რამდენიმე კაცით სპარსეთში გაიპარა და თბილისში განგებ ერთი ალიაქოთი ასტეხეს და ვითომ მდევარიც აფრინეს აქეთ-იქით პეტრეს დასაჭერათ. პეტრე მშვიდობიანათ მივიდა თეიმურაზ ბატონიშვილთან, ვითარცა, რუსთა მთავრობისაგან შეიწრებული და საქმე გაჭირვებული, გამოქცეული. თეიმურაზ ბატონიშვილი კი ნამდვილ არ იყო მადლიერი სპარსეთისა და ალექსანდრე ბატონიშვილისა, ნანობდა კიდეც სამშობლოთგან ასე წამოსვლასა. ამიტომ მარად ჟამს ეძებდა დროს როგორმე დახწეოდა იქაურობასა. პეტრეს მოსვლას სწორეთ მოსწრებული შემთხვევა იყო და ხელი მოუმართა თეიმურაზის გამოპარვასა. 1810 წ. აგვისტოს გასულს აბასმირზა დაბანაკებული იყო ფამბაკზედ, გარნისში. აქეთგან გამოემგზავრა თეიმურაზი 14 ენკენისთვეს და თან გამოყვნენ: ბარათაშვილი და ოთხი მსახური—ქაიხოსრო თეთრაძე, ივანე ბაზლიძე და გრიგოლ ალაბეგიშვილი (ს. ჭალითგან) და ივანე წიბოლაშვილი (გურჯაანითგან). მოვიდა თუ არა თეიმურაზი თბილისში, ტორმასოვმა მაშინვე რუსეთისკენ გაისტუმრა ცოლიანათ. თან გაიყოლა გორის დეკანოზი სიმონ გოგებაშვილი [4]), ვითარცა მოძღვარი და კარის მღვდელი, აგრეთვე 12 წლისა სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე და სხ. მსახურნი. თეიმურაზი რომ პეტერბურგში მივიდა, აქ დაუხვდა იოანე ბერი (ხელაშვილი) და გახარებული მუხლებზედ მოეხვია, შეიყარნენ ერთათ მწიგნობრობის დაუძალავნი ტრფიალნი. თეიმურაზმა იწყო წერა და თარგმნა სხვა და სხვა საჭირო წიგნებისა. 1818 წ. ქრისტეშობისთვის 18 დაჰბეჭდეს იქვე იოსებ იოანესოვის სტამბაში რუსულითგან თარგმნილი „განჰსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისათვის“, 48 ვ. in 16. ამ წიგნაკის შვიდტაკვან იამშიკო წინასიტყვაობის კიდურ წერილი ასეთია—„იონა იერომონახს გიძღვნი მეფის ძე თეიმურაზ“.

სიმონ დეკანოზის შემდეგ თეიმურაზმა იონა ბერი მიიწვია კარის მღვდლათ და მოძღვრათ. იონა ათი წელი ემსახურა, 1825 წლის მაისამდე. იმ დროს კარის ეკლესიას თეიმურაზმა შესწირა კურთხევანი ესრეთი წარწერით: „ეს წმ. კურთხევანი მეფის ძის თეიმურაზის კარის ეკლესიისა არის, ხელით-უქმნელის ხატისა და შეეწირა წელსა 1816 წ. დეკემბრის 24“.[5]) თეიმურაზ ბატონიშვილი სცხოვრობდა პეტერბურგში მდ. ნევას ერთ-ერთ მახლობელ ქუჩაში; 7 ნოემბერს 1824 წ. მდინარე ნევა საშინლათ ადიდდა, გადმოხეთქა ნაპირებს და მახლობელი ქუჩები ისე აავსო და წალეკა ნიაღვარმა, რომ ნავებით მიდი-მოდიოდა ხალხი, ისიც რის ვაი ვაგლახით. ამ დროს აბობოქრებული ღვარი შეუვარდა სახლში ბატონიშვილს თეიმურაზს და უძკირფასესი ისტორიული ბიბლიოთეკა გაუტიალა. მაშინვე სხვა ბინაზედ გადაბარგდა დაღონებულ-დაძმარებული. მიზეზი ეს იყო რომ იონა ბერი მარიამ დედოფალთან გადაიბარგა კარის მღვდლათ და 9 წ. ემსახურა. თეიმურაზმა კი მიიწვია ტარასი ბერი (ალექსის ძე მესხი) 1825 წ. 5 მაისითგან.[6]) შემდეგში პეტერგოფში სცხოვრობდა თეიმურაზი და საკუთარი კარის საყდარიცა ჰქონდა.

(შემდეგი იქნება)

[4]) დეკანოზი ს. გოგებაშვილი მალე მიიცვალა პეტერბურგში, ცოლშვილ დაუტირებელი. თეიმურაზმა მაშინვე აცნობა სინოდის ობერ პროკ. გოლიცინს—დეკანოზის ქვრივის გაჭირვება საქართველოში—პენსია დაუნიშნეთო. გოლოცინმა ვარლამს მოსწერა 16 სეკტემბერს 1711 წ.—„შენ მიეცი. შემწეობაო“. და ვარლამმა 60 მან. დაუნიშნა წელიწადში საქართველოს საეკლესო შემოსავლიდგან. იხ. საქმე ეგზ. კანცელ. 1711 № 17.

[5]) ეს ხელნაწერი საქართ. სამღვდელოების მუზეუმშია.

[6]) ტარასი ბერმა რუსულითგან სთარგმნა და 1824 წ. დაბეჭდა პალესტინის გეოგრაფია რუქით.

ანუ პოლიტიკურ განწყობილებაში, რომელიც იაპონიის წინააღმდეგ იქნება მიმართული. იაპონია არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს შეთანხმებაში ანუ პოლიტიკურ განწყობილებაში, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

მუხ. 2. თუ ვინიცობაა რამე შემთხვევა ხიფათს უმზადებს ტერიტორიალურ მთლიანობას ანუ რამე ინტერესს დასავლეთ აღმოსავლეთში ამ ორ შეთანხმებულ სახელმწიფოთა შორის, რუსეთი და იაპონია შეთანხმდებიან იმ ზომებზე, რომლებსაც მიიღებენ, რომ ერთი-ერთმანეთს დაეხმარონ ზემოხსენებული უფლებების და ინტერესების დასაცავად.

ავსტრიის ახპარეზზე.

ბერლინიდან კოპენჰაგენში იტყობინებიან: ვილნაში სამხედრო თათბირი შესდგა გენერალ ლიცინგენის თანადასწრებით, სადაც განიხილეს მომავალ ბრძოლის გეგმას გალიციაში. თათბირზე გადასწყდა ლვოვის დაცვას დიდი ყურადღება არ მიაქციონ, პერემიშლი კი უბრძოლველად მოპირდაპირეს არ დაეთმოს.

ბრძოლა მდ. ხომაზე.

ვენის გაზ. „არბ. ცაიტუნგი“ სწერს: სომაზე ბრძოლამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. ამ ბრძოლას ხელი შეუწყო კიტჩენერმა, რომელმაც იარაღი და ხალხი ამ დროისათვის შეინახა.

ბოლოს გაზეთი დასძენს, რომ რამე ცვლილება ბრძოლის ველზე დღეს დღეობით შეუძლებელია, ომი უფრო მკაცრ სახეს იღებს.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

რუსეთის ასპარეზზე რიგიდან პოლესიემდე საარტილერიო და თოფის სროლაა.

—

სტოხოდზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

—

კავკასიის ასპარეზზე აზრუმის დასავლეთით რუსის ჯარმა წინ წაიწია და ბრძოლით ქ. მამახათუნი დაიჭირა.

—

ვერდენის ასპარეზზე მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა იერიშები გაამრავლეს.

—

გერმანელებმა ტრონის ტყე აიღეს, მაგრამ ფრანგებმა ისევ დაიბრუნეს.

—

იტალიის ასპარეზზე ადიჯესა და ბრენტს შუა არტილერია და მფრინავები მხნედ მოქმედებენ.

—

28 თიბათვეს უმაღლეს მთავარ შტაბში ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს კრება შესდგა.

—

ლოიდი ფიქრობს, რომ ინგლისის გემი „პანტენისი“ გერმანელებმა დაატყვევეს.

ახალი ამბავი

→ დეპეშა დიდი მთავრისა. ქალაქის მოურავმა შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო დიდი მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძისაგან, მათ უმაღლესობის სახელწოდების მილოცვისა გამო:

„მიიღეთ და გადაეცით ქალაქის თვითმართველობას ჩემი გულითადი მადლობა მოლოცვისათვის და კეთილ სურვილთათვის **პეტრე**“.

→ დიდუბის ტაძრის განძეულობა, რომელიც გაქურდული იყო ამ დღეებში, პოლიციას აღმოუჩენია ელისაბედის ქუჩაზე № 162 სახლის ეზოში მიწაში ჩაფლული.

→ ქართველ ექიმთა საზოგადოება. ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების დაარსება გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. უკანასკნელ კრებას დაესწრო 35-დე ექიმი და ბუნების მეტყველი, რომელთაც დიდძალ ხმის უმეტესობით საპოროდ და სასარგებლოდ სცნეს ასეთი საზოგადოების დაარსება. დაადგინეს დაარსონ იგი. წარმოდგენილ იქმნა პროექტი საზოგადოების წესდებისა საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული, რომელშიაც შედიან ექ-ძნი ვ. ღამბაშიძე, პ. კიკალიშვილი და თავ. მელიქიშვილი. წესდება არსებითად მოიწონა კრებამ და მუხლობრივ განხილვას შეუდგა. განხილულ იქმნა 3 მუხლი, დანარჩენი მუხლები შემდეგ კრებაზე განიხილება.

→ მსახიობი ვ. აბაშიძე. ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვ. აბაშიძე ამ დღეებში მიემგზავრება წყალტუბოს აბანოებზე ქარების წინააღმდეგ ვანების მისაღებად. წყალტუბოდან ის წავა დასასვენებლად თავის მამა-პაპეულთა სამშობლო სოფელ სავანეში (შორაპნის მაზრა), საცა ის დაჰყოფს 7—10 დღეს. სამოგზაუროდ მსახიობს ქონებრივად ხელს უწყობს ქართული დრამატიულ საზოგადოების გამგეობა.

→ პანაშვიდი დაღუპულ გემის გამო. სამხედრო ტაძარში ადგილობრივ კრებულის მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ამ დღეებში ქ. ბათომთან დაღუპულ საგოსპიტლო გემ „ვპერიოდ“-ზე მყოფთა სულის მოსახსენებლად.

→ საქართველოს ექსარხოსი გუშინ ნაშუადღევს დ. ბორჯომში გაემგზავრა საზაფხულოდ.

→ საეკლესიო მთზეუმის დათვალიერება. გუშინ საქართველოს ექსარხოსმა დაათვალიერა ქართველ სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი. ექსარხოსს დახვდნენ მუზეუმის გამგე კომიტეტის თავმჯდომარე ეპ. ანტონი და წევრნი ამა კომიტეტისა. ახსნა განმარტებას აძლევდა მუზეის გამგე მ. გ. ჯანაშვილი.

→ სამხედრო სასამართლოში დამთავრდა საქმის გარჩევა დუშეთის მაზრის აზნაურის ნიკ. ყარანგოზიშვილისა, რომელსაც პოლიციელ ნ. დავითურის მკვლელობა ბრალდებოდა. სასამართლომ ნიკ. ყარანგოზიშვილის მთელი საქმე სამხედრო ბრალმდებელს გადასცა დამნაშავის ჭკუის შესამოწმებლად.

→ ტრამვაის მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი განიხილა ქალაქის თვითმართველობის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ქალაქის გამგეობასთან ერთად 28 ამა თვეს, მაგრამ დაწვრილებით გაცნობა მოთხოვნილებათა იმ დღეს ვერ მოასწრო შეერთებულმა კრებამ. კომისიას და გამგეობას დღეს საღამოს ისევ ექნება ამ საგნის გამო კრება და მოთხოვნილებათა უმთავრეს მუხლების შესახებ თავის აზრს გამოსთქვამს.

→ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას საგანგებოდ ჰყავს ინსტრუქტორი კოოპერატიულ დაწესებულებათათვის. ინსტრუქტორის მოვალეობაა: 1) ყოველგვარი რჩევა-დარიგება მისცეს სიტყვიერად და წერილობით როგორც არსებულ, აგრეთვე დასაარსებელ კოოპერატივთა ხელმძღვანელებს; 2) ანგარიშის საქმეები სასურველად დააყენოს და რევიზია მოახდინოს, რადესაც ამას თვით ამხანაგობანი მოისურვებენ; 3) სხვა დაწესებულებათა ინსტრუქტორებთან შეთანხმებით საკოოპერაციო კურსები მოაწყოს; 4) დაესწროს მომხმარებელ, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა კრებებს და ხალხს ელაპარაკოს კოოპერატივის გამრავლების სარგებლობის შესახებ; 5) მიიღოს ღონისძიება, რომ მსგავსად საკრედიტო დაწესებულებათა, მომხმარებელი ამხანაგობანიც ადგენდნენ ყოველთვიურ ანგარიშს ერთგვარ შემუშავებულ გეგმით, რომლის თითო პირი უნდა ეგზავნებოდეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თავისს ჟურნალში დასაბეჭდად.

ინსტრუქტორის მიწვევა არავითარ ხარჯს არ იწვევს კოოპერატივების ნხრივ. მისამართი ინსტრუქტორისა: თბილისი. ბარიათინსკის ქუჩა, სახ. 4. ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

→ ყოფილი ბათომის ქალაქის თავი თ-დი ანდრონიკაშვილი გუშინ ქალაქის მოურავთან იყო და მიართო ძვირფასი ვაზა გიოგრგობისთვეში მომხდარ სასურსათო თათბირის მონაწილეთაგან.

→ ახლად გახსნილი სოლოლაკის გვირაბი სიგძით 109 საჟენია, განათებულია ელექტრონით და იატაკი ხის ფიცრისაა. გვირაბი მსვლელობისათვის თავისუფალია დღის 7 ს.—საღამოს 9 საათამდე.

→ იმერეთი. ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში საკვები სიმინდი არც მოიპოვება და არც არსაიდან მოდის. ხალხი დიდ გასაჭირს განიცდის. ხანგრძლივმა გვალვამ ნათესები და ვენახები ძალზე შეაწუხა; ვაზს ნაცარი გაუჩნდა და სიმინდის ფოთლები დაჭკნა. დროზე თუ ცამ პირი არ გააღო და წვიმა არ მოვიდა, შარშანდელზე ნაკლები მოსავალი იქნება. ცოტაოდენი ძველი ღვინო კიდევ არის დარჩენილი სოფლებში. ერთი საპალნე (13 ფუთი) 120 მანეთი ფასობს.

→ ფქვილის გაზიდვა. ქალაქის გამგეობამ თხოვნით მიმართა სამხედრო მიმოსვლათა უფროსს რათა აღკრძალულ იქმნას ფქვილის გაზიდვა ქალაქის გამგეობის ნებადაურთველად პროვინციებში.

→ კვირას, 3 მკათათვეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს უბნის უფასო ბიბლიოთეკა-წიგნსაცავის წევრთა წლიური საზოგადო კრება. განსახილველი საგნები 1) გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება, 2) 3) ახალი გამგეობის არჩევიზიო კომისიის და მათ კანდიდატების არჩევნების კრება გაიმართება სამკითხველოს შენობაში.

→ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აპირებს გახსნას სოფ. მოიდანახეში (ზუგდიდის მაზრა) პირველ-დაწყებითი სკოლა. გალის (სამურზაყანო) სკოლის შენახვას კისრულობს ქუთაისის განყოფილება საზოგადოებისა.

→ განყოფილების გახსნა. დაბა ბაღდათის (ქუთაისის მაზრა) მკვიდრელები სთხოვენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას გახსნას ბაღდათში განყოფილება საზოგადოებისა. ამ საგნის შესახებ ბაღდათელებმა ამ დღეებში შესაფერისი ოქმი შეადგინეს საზოგადოების მდივნის ვარ. ბურჯანაძის თანადასწრებით და განყოფილების გახსნის თადარიგს შეუდგნენ.

→ თავმჯდომარის არჩევა. ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხმ. ვასილოვზოროვი.

→ შემოიტანეს თბილისში 28 და 29 თიბათვეს: ფქვილი 52 ვაგ., ღვინო 3 ვაგ., ქერი 3 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ბაკლაჟანი 1 ვაგ., ახალი ხილი 2 ვაგონი, შეშა 28 ვაგონი, ნავთი 1 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 2 ვაგ., ფხვნილი შაქარი 95 ფუთი, ყველი 87 ფუთი, კვერცხები 167 ფუთი, ნესვები 27 ფუთი.

ვასო აბაშიძე

დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი საქართველოდან ადრევე რომ წასულიყო და თავისი დიდებული ნიჭი რომელიმე უცხო ქვეყნის სცენისათვის შეეწირა, ჩვენ, ქართველები, ვასოს ფეხ ქვეშ დავეგებოდით და რაც კი რამ გვაბადია მას წინ გადაუშლიდით.

სწორედ მაშინ იქნებოდა ჩვენთვის დიდებული კაცი, გოლიათი ხელოვნებისა და საცა ხმა მიგვიწვდებოდა ყველგან და ყოველთვის ვიამაყებდით, თავს მოვიწონებდით მითი.

საუბედუროთ ვასოსთვის და საბედნიეროდ ჩვენთვის ეს ასე არ მოხდა. სამშობლოს არ გაექცა; დიდებას და პატივს მან არჩია ტანჯვა-ვაება და მთელი თავისი სიცოცხლით სავსე ნიჭი შეალია ქართულ ხელოვნებას.

ვინ არის ვასო აბაშიძე? რა მნიშვნელობა აქვს ვასოს ქართულ სცენისათვის? ჯერაც არავინ არ იცის და არც გამორკვეულია.

პირადათ მე სრულიადაც არ ვფიქრობ ამ მცირე წერილში მის მნიშვნელობის გამოკვლევას, ამისათვის საჭიროა დრო და დიდი მეცადინეობა.

ვიტყვი მხოლოდ გაკვრით. რომ ქართულ სცენაზე ვასო აბაშიძე ისეთივე დიდი, ბუმბერაზი მოვლენაა, როგორადაც ილია და აკაკი ლიტერატურაში.

ქართველ ერს ჰყავს არა ორი დიდებული მამულიშვილი. არამედ სამი: ილია, აკაკი და ვასო.

თუ კი არსებობს საზოგადოთ **ქართული** თეატრი მხოლოდ იმიტომ, რომ გვყავს ვასო აბაშიძე.

არც ერთი ადამიანი თავის შემოქმედებაში ისე ვერ შეჰქმნის ეროვნულ სახეს ეროვნულ სულის კვეთებს, როგორც ვასო აბაშიძე.

ვერც ერთმა ხელოვანმა ვერ მოგვცა იმდენად მარტივი ეროვნული ფორმა, როგორადაც ვასომ.

ჯერაც ვერ ვიცნობთ ვასოს და ამიტომ არც გვესმის, გათვალისწინებული არ გვაქვს თუ რა დიდებულ მამულიშვილთან გვაქვს საქმე.

არ გვესმის, არ ვიცნობთ და არც ჯეროვან ყურადღებას ვაქცევთ მის ახლანდელ მდგომარეობას.

სრულიად უპატრონო, მარტო ხელა მოხუცი, დასუსტებულ ვასო აბაშიძეს, ქართველი საზოგადოება ზერელედ ექცევა. არ აინტერესებს არც მისი ბედი, არც მისი ახლანდელი სულიერი განწყობილება.

სიცხე-პაპანაქებაში, ღონე მიხდილი, მისუსტებული დაიარება თბილისის ქუჩებზედ და ჩვენთვის ეს თითქოს არაფერია, თითქოს ეს ასე უნდა იყვეს. თითქოს ჩვენ უკვე მოვრჩით, მოვიხადეთ ჩვენი ვალი ამ დიდებულ ადამიანის წინაშე.

რას ფიქრობს დრამატიული საზოგადოება?—უნებლიეთ გაიფიქრებს მკითხველი. არაფერს; მან თავისი ვალი მოიხადა მითი, რომ დაუნიშნა პენსია 75 მანეთი. ხელოვანთა საზოგადოებამ ერთს ხანზე დააყენა დანარჩენი მსახიობნი და ყველა ერთი ზომით გაზომა.

მართალია ვასო აბაშიძემ ყველაზედ გაცილებით მეტი დრო შესწირა, უფრო დიდის მუყაითობით უმსახურება ქართულ სცენას, მაგრამ საზოგადოებამ აღბათ ეს ვერა სცნო საკმაო მიზეზად, რომ მისთვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია.

მტკიცება და ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი ვალია უზრუნველ ვყოთ ეს ადამიანი ყოველმხრივ არა რომელიმე საზოგადოებამ, მთელმა ერმა უნდა აღიაროს თავის საკუთარ შვილად და იამაგოს მისთვის როგორც გულმხურვალე მშობელმა.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა კულტურულ დაწესებულებებს ამოიღოს ხმა, მიიღოს ყოველგვარი ზომები და შეუნახოს ქართველ ერს ეს დიდებული მამულიშვილი კიდევ მრვალ ჟამიერ.

ალექსანდრე ახმეტელი.

აბდაუბდის ენციკლოპედია

ბევრს ჩვენგანს გულუბრყვილოდ სწამდა, რომ „სახალხო ფურცელი“ ქაღალდის ასეთს საშინელ სიძვირის დროს მაინც შეაჩერებდა თევდორე ღლონტის „აბდაუბდის ენციკლოპედიის“ გამოცემას.

ჩვენი აზრი არ გამართლდა.

თევდორე ღლონტი განაგრძობს თავის გამოკვლევებს: „ჩვენ და მსოფლიოს ფედერაცია“, მე და „კლდე“, „მე და ნაპრალი“, „მე და ბისმარკი“. (ბისმარკი როგორც მოგეხსენებად ფედერალისტი იყო—მან პრუსიას შეუერთა გერმანიის სხვა სამეფოები ისე როგორც თევდორე ღლონტს უნდა სომხეთს შეუერთოს საქართველოს ზოგიერთი ნაწილები). ყველა ამ ნაშრომებმა დიდძალი ქაღალდი და საღებავი იმსხვერპლა. ადამიანთა მსხვერპლი იმდენი არ იყო, ვინაიდან გამოკვლევებს ყველა სიფრთხილით ეკიდებოდა და არავინ მას არ კითხულობდა.

რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ დღეს, როგორც ამ დიდი მკვლევარის პატივისმცემელი, ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია მკითხველის ყურადღება მივაქციო თევდორე ღლონტის უკანასკნელ შრომას—„მე, ჩარჩები თუ მამულის ხალხი?“ ჩვენი სამაგალითო თანამემამულის გამოკვლევა მით არის საყურადღებო და შესანიშნავი, რომ ის ყირაზედ აყენებს მთელს თანამედროვე მეცნიერებას... ეს ხომ დიდათ აკმაყოფილებს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას?..

ცნობილი ეკონომისტები ამტკიცებენ, ევროპის სახელმწიფოთა ქონებრივი ძლიერება აღმოცენებულია უმთავრესად სხვა ქვეყნებში გაჩაღებულ ვაჭრობა-მრეწველობაზე.

ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია—აზიაში, აფრიკაში თუ ამერიკაში მოპოებულმა ქონებამ გაამდიდრაო. გერმანელი ქვეშევრდომები რუსეთში უდიდეს წარმოებებს ქმნიდენ, სიმდიდრეს იძენდენ და თავის სამშობლოს ეკონომიურად აძლიერებდენ. ეხლა რუსეთის მთავრობა შეუდგა ასეთს მოვლენებთან ბრძოლას და გერმანელთა წარმოებებს რუსეთში ხურავს და ლიკვიდაციას უშვრება.

ასეთი შეხედულება სრულებით გაქარწყლა ჩვენი მეცნიერის მადლიანმა კალამმა. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართველი ერისთვის მაგალითად ქართველების მრეწველობას ბაქოში, სპარსეთში ან სხვაგან, უცხოეთში—ჰკითხულობს თევდორე ღლონტი. „სრულიად არაფერი. **ქართული**—პირდაპირ შეუძლებელია რაიმე ვნახოთ იმ მრეწველთა აზროვნება-გართულებაში, რომელნიც სამშობლოს გარეშე მოქმედებენ და უცხო სახელმწიფოს ძალით კი სულდგმულობენ“. გვიპასუხებს ჩვენი ეკონომისტი. ასე რომ ჩვენი იმედი მრავალ ეკონომისტთა აზრზე დამყარებული სრულებით გვიცრუვდება.

ჩვენ გვეგონა, რომ ქართველები თუ ბაქოში, სპარსეთში ან კიდევ უფრო შორს შეიძენდენ სიმდიდრეს, ამ სიმდიდრის ერთი ნაწილი მაინც შეემატებოდა ჩვენს ეროვნულს დოვლათს და მით ჩვენი ერის ქონებრივსა თუ სულიერს ცხოვრებას გაამტკიცებდა, გააძლიერებდა. გვეგონა რომ ჩვენი პატარა ქვეყანაც მოღონიერდებოდა და გაძლიერდებოდა, ისე როგორც სხვა მოწინავე ერები.

ასე ვფიქრობდით და ის გვავიწყდებოდა, ჩვენ რომ ჩვენი თანამემამულენი ამ სიმდიდრეს „ სახემლწიფოს ძალით“ იძენენ.

ასე მოპოებულ ოქროს კი ჩალის ფასიც კი არ აქვს თუ დაუჯერებთ ჩვენს ბრძენ ეკონომისტს.

ასეთი დასკვნის შემდეგ თევდორე ღლონტი კითხულობს—რომელი ნაწილი ჩვენი ერისა არის საიმედო და გამოსადეგი ჩვენი ეროვნული განვითარებისთვის. „ამ ჟამად, რეალურად ერის სევდით დასნეულებულია მამულის ხალხი“. „გვეუბნება ის. ეს მამულის ხალხი“ რას ჰქვიანო, იკითხავს მკითხველი. „აქ ვგულისხმობთ იმ მამულის პატრონთ, რომელნიც პირდაპირ სარგებლობენ მამულით, უძღვებიან მიწას, მის „კულტურას“—გვიპასუხებს ჩვენი მეცნიერი. რასაკვირველია მამულით, თუ კი ის ვინმეს აქვს, ვინ არ ისარგებლებს, მაგრამ უბედურებაც ის ყოფილა, „რომ საქართველოს მამულის ხალხი მამულიდან უფრო ზარალს იღებს ვიდრე სარგებელს“. რა უჯობს „მამულის ხალხს“, ჰკითხულობს ამის შემდეგ ავტორი, „ჩვენ გვესაჭიროება ქართულ მიწის მოქმედების სამინისტრო; იგი გააშენებს ახალს გზებს, რკინის გზას, გახსნის მთა-გრეხილების სიმდიდრეს, გამოაჩენს წყლის ძალას, გააცხოველებს მაღაროების მუშაობას“.

ეხლა თუ სახელმწიფოები ათს და თორმეტ მინისტრს ნიშნავენ სახელმწიფოს ცხოვრების სხვა და სხვა დარგის მოსაწყობად, თევდორე ღლონტის მიწათ მოქმედების მინისტრი ყველაფერს მარტოდ მარტო აკეთებს:—გაყავს გზები, აშენებს ქარხნებს, „ამაგრებს აუზებს“, „აღმოაჩენს წყლის ძალას, თანამშრომლობს „სახალხო ფურცელში“ და სხვა. მართლაც რომ მალამო იქმნება ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი მინისტრი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს და ნუ თუ დღესაც უნაყოფოდ ჩაივლის თევდორე ღლონტის ზემორედ განხილული გამოკვლევა და მისი რჩევანი ისე, როგორც ყველა წინანდელი მისი ნაწერი და „მამულის ხალხი“ ეხლაც ვერ შეიგნებს მიწადმოქმედების სამინისტროს საჭიროებას?

ი. მან.

ალ. უიფუიძის გარდაცვალების გამო

სამძიმრის დეპეშები

ძარელი. ულრმესად ვწუხვართ დაუვიწყარ მეგობარ საშას უდროოდ დაკარგვას.

ქაიხოსრო და თამარ ავალიშვილები.

სამძიმრის წერილი

ერწო (საყდრიონის საზოგადოება). ქართველ საზოგადოებასთან ერთად გულწრფელ მწუხარებას განვიცდით ჩვენი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის გარდაცვალების გამო, რომელმაც თავისი ღვაწლი ჩვენს მხარესაც დასდო.

საზოგადოების მონდობილობით

მამასახლისი ეგნატე ჯავ. გაბ.

† სიკო ალექსის ძე გრაგვაძე

14 თიბათვეს, კახეთში, სოფ. ურიათ უბანში მიწას მიაბარეს ოსმალეთის ასპარეზზე 3 თიბათვეს გმირულად თავგანწირული პოდპორუჩიკი სიკო ალექსის ძე ბრაგვაძე. 26 წლის ჯანღონით სავსე ახალგაზდა იყო. 1910 წელს სათავად-აზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზედ, სადაც მცირე ხანს მეცადინეობდა და შემდეგ დაითხოვეს, როგორც არა კეთილსაიმედო პირი. ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს კურსკის გუბერნიაში, რამდენიმე თვის შემდეგ მას ნება დართეს თავის სოფელში დაბრუნებისა. ომიანობაც ასტყდა. სიკოც 1 იანვარს 1915 წ. სამხედრო სასწავლებელში შევიდა, რომელიც ხუთ თვეში დაასრულა და მაშინვე ოსმალეთის ასპარეზზე გაგზავნეს. აქ მზვერავთა რაზმის უფროსობა მისცეს. ერთგული ყველასთან და ყოველ საქმეში, 3 თიბათვეს ოსმალებთან შეტაკებაში მას გვერდით მოუკლეს ორი ამხანაგი. გამწარებული სიკო თავგანწირვით ეკვეთა მტერს და გმირულად მოკვდა ამხანაგებთან ერთად. საუკუნოდ იყოს ხსენება ამ თავგანწირული ქართველისა.

პატარა ფელეტონი

გავერანებული ვენახი

(სურათი)

კარგია, სასიამოვნოა სოფელი, რაც უნდა მიყრუებული იყოს იგი, რაც უნდა უბადრუკი იყოს, რაც უნდა გაჭირვებას განიცდიდეს იგი; სუფთა, გრილი ჰაერი, მოსვენებული, მყუდრო ცხოვრება სოფლისა, ველ-მინდორის ყაყაჩო, ზღვასავით მღელვარე ყანა, ნორჩი ლილასავით მწვანე სიმინდი, საღამოს ჟამს მინდვრიდამ დაბრუნებული გაკეთებულ საქმეზე, რაღაცა უთქმელი სიმშვიდე ადამიანებს ლით იტაცებს ჟაკის სულს და ავსებს გულს რაღაცის იმედით.

კარგა ხანია არა ვყოფილვარ სოფელში; უფრო მეტი ხანია, რაც არ მენახა ჩემი ვენახი, რომელიც კარგა მოშორებით არის სახლიდან სოფლის ბოლოში სხვათა ვენახებთან ერთად. ბოლოს დროს როგორღაც ამიცრუვდა გული ვენახზედ. ვაზის ათასგვარმა სენმა, გაზაფხულის ყინვებმა და სიცივემ თითქმის ბოლო მოუღეს ვენახებს. ზედ დაერთო საშინელი მსოფლიო ომი, რომელიც ეს მესამე წელიწადია გრგვინავს, მძვინვარებს და სვამს ხალხის აუარებელ სისხლსა, კაცი ვეღარ გიშოვნიათ, რომ ჩააყენოთ ვენახში, რომ შეაკეთოთ გადანგრეული ღობეები, რომ შეიმუშაოთ იგი. სამარისებური ერუანტელი გივლით ტანში, როცა გაივლით სოფლად; მუშა ხალხი თითქმის სულ გაკრეფილია სოფლიდან. ისინი, ვინც ვენახსა და მინდორში ტრიალებდნენ, ეხლა შორს, შორს თავის სამშობლოდან, გახვეულნი არიან ოოფის წამლის კვამლში; ეხლაც არავინ იცის, რომელი იმათგანი დაბრუნდება შინ და რომელი ველარა.

ამისთანა უბედურობის დროს რა სიკეთე უნდა დაეყაროს ან ვენახს, ან სხვა რამეს, ვფიქრობდი მე, როცა ჩავიარე ორღობე და მივუახლოვდი ჩემ ვენახს.

მხოლოდ მწარე სინამდვილე, რომელიც მელოდა და რომელიც მალე კიდეც დამეხატა თვალწინ, აღემატებოდა ჩემს ფიქრებს; ის, რაცა ვნახე, აუწერელი იყო; საშინელი გადაგვარების, გავერანების ბეჭედი ესვა ყველაფერს. ჩამოვარდნილი ვენახის კარები, გადაგლეჯილი, მიწასთან გასწორებული ღობე, ჭერ-ახდილი დანგრეული საწნახელი, აი პირველი სურათი, რომელიც წარმომიდგა თვალწინ, როცა შევდგი ფეხი ვენახში. მერე თითონ ვენახი? ღმერთო ნუ თუ ეს ის ვენახია, რომელიც წინად მინახავს! აღარც ვაზი, აღარც სარი! აქა-იქ საბედისწეროთ ღირღილობდა თითო-ოროლა ობოლი ვაზი, ისიც დაჩაგრული, დაბეჩავებული, დაკნინებული; თითქო სრული გადაგვარების სურათის დასამთავრებლად თითო-ოროლა მტევანიც კი ება, წვრილ მარცვლიანი კრიკინა ყურძენი. ზედ დატანებით გადაგლეჯილი ღობეებზედ გადმოსულიყო საქონელი და მოსვენებით სძოვდა შუა გულ ვენახში. ამ სურათის დანახვაზედ ელდა მეცა.

საქონელი გამოვრეკე. მივჯექი ხის ძირას და მივეცი თავი მწარე ფიქრებსა. წარსულთა უკეთესთა ჟამთა მოგონებამ წარმიტაცა; უნებლიეთ მაგონდებოდა ის არა ძალიან შორი დრო, როდესაც მშვენიერი მზეზედ დამკრახული ყურძნით სავსე ვენახი მოდებული იყო მკრეფავი გოგო-ბიჭებით და ისმოდა ყოველ მხრიდან მათი კისკასი, სიცილი და ლაზღანდარობა. საცა მიიხედავთ, ყველგან ხროვა საგანგებოდ მორჩეული შესანახათ დამზადებული ყურძნისა, ყველგან აკიდო; სამსე აკიდებული გოდორი, გოდორს მისდევ საწნახელისკენ. თვით საწნახელიც სავსეა ოქროსფერის ყურძნით; ზედ ადგანან ჯიელი ბიჭები და სიმღერით სწურავენ; მილებიდან შხეილით გამოდის და ჩადის ქვევრებში სულისა და გულის გამახალისებელი ტკბილი.

მომაგონდა ისიც, როგორადაც ბინდისას ჯიელი ბიჭები ეწეოდნენ ურმებზედ დასადებად სავსე ახალი ღვინით ფეხებ გაფშეკილ რუმბებს ვაუკაცური ძახილით: „ერთად, ძმებო“.

გამახსენდა ეს ყველაფერი, როდესაც შევადარე ეს ჩემი მოგონებანი იმ მწარე სინამდვილეს, რომელიც იყო გადაშლილი ჩემ თვალ წინ, ველარ შევიმაგრე თავი და ცრემლები ღაპაღუპით ჩამომცვივდა თვალებიდან. არ ვიცი, მომილბო გული ამ ცრემლებმა, თუ სხვა რამ, მხოლოდ როცა დავმშვიდდი და მოვედი გონს, უცბად გამეცინა.

არა, რა მატირებს! მე თითონ ხომ ჯერ ცოცხალი ვარ; ეს ვენახიც ხომ კიდევ ჩემ ხელთ არის! და ის, რაც წინად იყო ამ ვენახში და რაც ეხლა მწარე მოგონებათა გამოიწვევს ჩემს არსებაში, განა კაცის შრომისა, კაცის გარჯილობისა და კაცის ხელის შედეგი არ იყო, ისეთივე კაცისა, როგორიც მე ვარ! მაშ, რა მაკვნესებს! წავა ეს მწარე დრო, დადგება უეჭველად უკეთესი დრო და მოვესწრებით იმ დროს, როცა ვეწეოდეთ სავსე რუმბებს; თუ მე არა, ჩემი შვილი ხომ მოესწრება.

ამ მწარე, თან ტკბილმა ფიქრებმა უფრო შორს წამიყვანეს. განა ეს ჩვენი დღევანდელი საქართველო ისევ ეს

გავერანებული, გაპარტახებული ვენახი არ არის? განა ეს მუდმივი ჩივილი და გოდება, რომლითაც ჩვენი ხალხი მისტირის თავის წარსულს, ოდესღაც გარემოცულს დიადი შარავანდედით, არ არის ტირილი ამ გავერანებულ ოდესღაც ლამაზად გაშენებულ ვენახზედ?

რაშია საქმე, რაზედ ვიკლავთ თავს? ჯერ ხომ ჩვენ ცოცხლები ვართ; ჯერ ხომ საქართველოც ჩვენ ხელთ არის! განა ის, რითაც იყო ძლიერი ძველი საქართველო, კაცის ხელით არ იყო გაკეთებული? მაშ რა გვატირებს ასე გულ-ამოსკვნით?!

მაშ ვიყვნეთ ჩვენც კაცნი! გავანძრიოთ ჩვენც ხელი! წავა ეს ძიმწარის დრო და დადგება უკეთესი ჟამი. ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები მაინც მოესწრებიან იმ დროს, როდესაც, იმ სავსე რუმბებისა არ იყოს, ეწეოდნენ საერთო საქმეს ერთი მკერდით, ერთის სულით ვაჟკაცური ძახილით: „ერთად!“

ამ ფიქრებით გულ-მოლბობილი გამოვეშურე ვენახიდან და თან ვიძახდი: ნამდვილად მექნება განახლებული ვენახი!

მ. ნ. ვეზირიშვილი.

ქალაქის საბჭო

ხმ. ბაბოვი. საბჭოში დიდი ხანია სურვილი გამოითქვა, რომ შუამდგომლობა აღძრულიყო შესახებ ნავთლუღის სადგურის გაფართოებისა. შესრულებულია თუ არა ამ საგნის შესახებ საბჭოს სურვილი?

გამგეობის წევრი **მ. ა ჯაბარი.** სადგური უკვე გაფართოებულია იმდენად, რომ იქ საქონლის მიღება და გაგზავნა შეიძლება. აგრეთვე გადაწყვეტილია, რომ ნავთლუღსა და აღსტაფას შუა მეორე ლიანდაგიც დაიგონ.

ხმ. რამიშვილი. გაზეთებიდან როგორც ვიცით, რუსეთის რამდენიმე ქალაქში საუნივერსიტეტო კურსები იხსნება. აქვს თუ ათა გამგეობას ამის შესახებ რაიმე ცნობა და გამგეობამ მიიღო თუ არა რაიმე ღონისძიება, რომ ასეთი კურსები თბილისშიაც გაიხსნას?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** გამგეობას არავითარი ცნობები არ აქვს, მაგრამ კიდევაც რომ ჰქონდეს, კურსების გახსნა აქ შეუძლებელია. შარშან რამდენი ვიმეცადინეთ ამ საგნის შესახებ, 150 ათასი მანეთიც კი გადავდევით, მაგრამ მთავრობამ ამიერ კავკასიაში უმაღლესი კურსების გახსნა შეუძლებლად სცნო, რადგან ეს კუთხე ბრძოლის ველად აღიარა. გარდა ამისა შესაფერისი შენობების უქონლობაც ხელს უშლის თბილისს უმაღლეს სასწავლებლის კურსების გახსნა ითხოვოს, ვინაიდან ამ ნაკლსაც ყურადღება მიაქციეს შარშან.

ფულის გადადება მეომართა ოჯახების შესამოწმებლად

ამ საგნის შესახებ საბჭომ გამგეობის შემდეგი შინაარსის ბოხსესება მოისმინა: ომის გამოცხადებასთანავე საოთადარიგო ჯარისკაცთა 8000 ოჯახი დარჩა თბილისში, რომელთაც ულუფის ფული დაენიშნათ ხაზინიდან. თითო ოჯახში რომ 5 სული ჩავაგდოთ, გამოდის, რომ ულუფის ფულს ღებულობს 40 ათასი სული. მაგრამ საქმე ის არის, ამ საგნის შესახებ არსებულ კანონის მიხედვით, ჯარისკაცთა ოჯახების ყველა წევრს არ ეროგება ასეთი ფული, ანუ თუ რომელიმეს ეროგება, ეს ძეტ-ნაკლებად უნდა იყვეს გახაწილებული მათი ღლოვანობისა და ჯანსაღობის კვალობაზე. მაშინ-კი, დროს უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო, ამ გარჩევაში არ შეესულვართ. აღნიშნულ ოჯახებზე თვიურად იხარჯება 80 ათასი მანეთამდე და მთავრობა ფიქრობს, რომ ეს ფული დიდია, თვიურად უნდა იხარჯებოდეს 8—10 ათას მანეთით ნაკლები. გუბერნიის სამხედრო სამმართველოს დადგენილებით ოჯახები შემოწმებულ უნდა იქმნას, მაგრამ ეს მცირე საქმე როდია; ეს მოითხოვს დიდ დროს და შრომას. დაწვრილებითი გამოანგარიშებამ დაგვარწმუნა, რომ ამ საქმისთვის საჭიროა 8.900 მანეთი. საქალაქო საქმეთა საკრებულომ ამ საქმის გამო ითათბირა და იმ დმსკვნას დაადგა, რომ ქალაქის გამგეობამ ჯერ-ჯერობით თავისი კასიდან დახარჯოს ეს ფული, ხოლო შემდეგ მთავრობა აუნაზღაურებს მას საერობო თანხიდან.

ამ საგნის შესახებ საბჭომ დაადგინა, რომ ოჯახების წევრთა საფუძვლიანად შემოწმებას მაშინ შეუდგეს, როცა ამისთვის ფულს მიიღებს მთავრობისაგან, ჯერ-ჯერობით კი სთხოვოს უბნების მზრუნველებს თავიანთი ძალღონით იმუშაონ და რის გაკეთებასაც შესძლებენ ის შეასრულონ.

ქალაქის ტრამვაი

ა) ქალაქის ლიანდაგს წინად ასუფთავებდა ამავე საქმის პატრონი ე. ი. ბელგიის უსახელო საზოგადოება. ტრამვაი ქალაქის ხელში გადმოვიდა და ლიანდაგის გასუფთავებაზე ქალაქს ეხარჯება ფული. თვიურად ქალაქის გამგეობის ანგარიშით ეს საქმე თხოულობს 20 ათას მანეთამდე. გამგეობა ამის გამო თხოულობს, რომ ლიანდაგის გასუფთავება დაეკისროთ სახლის პატრონებს. ეს დაკისრება მით უფრო სამართლიანი იქნება, რომ სახლის პატრონები მადლობელიც უნდა იყვნენ, რომ მათს ქუჩაზე ტრამვაის ლიანდაგია დაგებული.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი. ჯერ საქმე არ დამთავრებულა ბელგიის საზოგადოებასთან და არც ვიცით, რითი დამთავრდება. როგორ შეიძლება ასეთი ცვლილების შემოღება ეხლა! მოვითმინოთ საქმის დამთავრებამდის.

ხმ. ბაბოვი ეთანხმება წინანდელ ორატორს და თანაც დასძენს, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ რამდენჯერმე აღძრა შუამდგომლობა ქალაქის თვითმართველობის წინაშე და თხოულობდა, რომ იგი განთავისუფლებულიყო ლიანდაგის გასუფთავების მოვალეობისაგან, მაგრამ მაშინ საბჭომ არ შეიწყნარა ის შუამდგომლობა. ეხლა, ორატორის აზრით, საბჭოს რა უფლება აქვს, რომ ეს საქმე სახლის პატრონებს დაავალოს. გარდა ამისა, როგორც ორატორმა განაცხადა, ბევრი სახლის პატრონი დიდი უმადურიც არის იმით, რომ მათ სახლთან ტრამვაის ვაგონები დადიან და მუდამ ხმაურობა და მოუსვენრობაა. მაშასადამე ლიანდაგის გასუფთავებაც რომ სახლის პატრონებს დაეკისროთ, ეს დიდი უსამართლობა იქნება.

ხმ. ავთანდილოვი ამტკიცებს, რომ ტრამვაის ვაგონები სუფთაა, ისინი ლიანდაგს არ აბუბუყიანებენ და სახლის პატრონებს დიდი შრომა არ მოუნდებათ ლიანდაგის გასუფთავებაზე, ქალაქი კი განთავისუფლდება ხარჯებისაგან.

ხმ. რამიშვილი. როცა საქმის გაუმჯობესებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე იმის გადადებას მოითხოვთ ხოლმე. აქ გადასადები არა არის რა. ლიანდაგების გასუფთავება ეხლავე სახლის პატრონებს უნდა დააკისროთ.

საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდვას იმ დრომდე, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ქალაქსა და ბელგიის საზოგადოების შორის დავა.

ბ) როცა ტრამვაი ბელგიის საზოგადოების ხელში იყო, დიდძალი უსასყიდლო წიგნაკები გაცემულა ვაგონებით სამოგზავროდ. ასეთ მოგზაურთა შორის არიან ტრამვაის მოსამსახურენი და ბევრნი ისეთნიც, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ტრამვაის საქმეებთან. ქალაქის თვითმართველობის ხელში ტრამვაი გადმოვიდა ასეთი მუქთი მუშტრებით. გამგეობამ იმ თავითვე აღძრა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე შესახებ იმ საქმის მოწესრიგებისა, მაგრამ მაშინ ეს საკითხი გადაიდვა საბჭოს განახლებამდე.

ეხლა საბჭომ დაადგინა, რომ ამ საქმის წინასწარ განხილვა და აგრეთვე წლიურ ფასიან წიგნაკებზე ფასის დაწესება მიენდოს სატრამვაიო კომისიას.

გ) საბჭომ მსჯელობა იქონია შესახებ იმისა, თუ ვის ხელში უნდა იყვეს ტრამვაის საქმეთა წარმოება; ისევ გამგეობის ხელში, დარჩეს ეს საქმე, თუ საგანგებო კომისია შესდგეს, ამ საქმის გასაძღოლად.

ხმ. რამიშვილი. გამგეობამ არა ერთხელ განაცხადა, რომ საქმეებით დატვირთული ვართ და გაძღოლას ვერ ვასწრებთო. ეხლა თუ კიდევ ტრამვაის საქმეები დააწვა გამგეობას, ის კიდევ უფრო დაიტვირთება. ამიტომ ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ ტრამვაის საქმეთა გაძღოლა ცალკე კომისიას დაეკისროს.

ხმ. ბაბოვი არ ეთანხმება რამიშვილს და აცხადებს, რომ გამგეობა თუ საქმეებით დატვირთვის შესახებ სჩიოდა, აქედან იმის დასკვნა როდი შეიძლება, რომ ტრამვაის მოვლა ჩამოერთვას მას. გამგეობა რომ დატვირთულია საქმეებით, ეს ხმოსანმა ბაბოვმა კარგად იცის, მაგრამ ამის წამალი ის არის, რომ გამგეობას კიდევ უნდა მიემატოს ერთი წევრი. კომისიის ხელში ტრამვაის საქმეების გაძღოლის გადაცემა ორატორს შეუძლებლად მიაჩნია, განსაკუთრებით ეხლანდელ გარდამავალ ხანში, როცა ტრამვაი ათასგვარ გაუმჯობესებას თხოულობს.

საბჭომ დაადგინა ტრამვაის საქმეების გაძღოლა ისევ ქალაქის გამგეობის ხელში დარჩეს.

დ) გამგეობამ კრებას წარმოუდგინა ტრამვაის ღამის მოძრაობის ხარჯთაღრიცხვა. როგორც გამგეობის ანგარიშიდან სჩანს, 54 დღის განმავლობაში, რაც ღამით ვაგონები მუშაობენ, უმოგზაურია სულ 108,000 კაცს, ე. ი. ღამეში ორთა შუა რიცხვით 2,000 კაცს. ამის მიხედვით ორთა შუა რიცხვით ღამეში შემოსავალი ყოფილა 300 მანეთი. ხარჯიც გამგეობის ანგარიშით ამდენივე იქნება, ასე რომ ზაფხულის სეზონის დასრულებამდე სულ დაიხარჯება 44,982 მანეთი, რის დამტკიცება მოითხოვა გამგეობამ. ამასთანავე გამგეობას შემოსავლის მხრივ სასარგებლოდ არ მიაჩნია ღამით მოძრაობა ვაგონებისა, ხოლო ტეხნიკურის მოსაზრებით იგი საზარალოდაც სთვლის ღამის მოძრაობას, რადგან ვაგონები და მანქანები იცვითება და ეს საქმის წარმოებაზე ცუდ გავლენას იქონიებს, მაგრამ რადგან ღამის ვაგონებით „არა მარტო ბურჟუები“ სარგებლობენ, არამედ მომეტებულ ნაწილად დაბალი შეძლების ხალხიც, ამიტომ ღამის ვაგონები საერთოდ კარგი საშუალებაა ქალაქის მცხოვრებთა მიმოსვლისათვის და გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სეზონის დასრულებამდე არ მოსპოს ღამის ვაგონების მოძრაობა, ხოლო ვაგონების რიცხვის შემცირებას კი ფიქრობს იგი და ამის შესახებ განსაკუთრებულ მოხსენებას წარმოუდგენს გამგეობას.

ხმ. ქსავერიევი ამტკიცებს, რომ ღამით მუშა ხალხს სასეირნოდ სიარულისათვის არა სცალიან, რადგან დილა ადრიან სამუშაოზე უნდა გავიდეს. ამიტომ ორატორს სამართლიანად არ მიაჩნია გამგეობის განცხადება, რომ ღამით მარტო ბურჟუები არ სარგებლობენ ვაგონებითო. ორატორი ეხება ტეხნიკურ მხარეს და ამტკიცებს, რომ მანქანები და ვაგონები ცვდებიან, სამაგიერო არა გვაქვს და ადვილი შესაძლებელია სულ უტრამვაიოდ დავრჩეთო. ამიტომ ბ-ნი ქსავერიევი მოითხოვს ღამის ვაგონების მოძრაობის გაუქმებას.

ხმ. რამიშვილს ღამის მოგზაურნი ქალაქის თვითმართველობის მხრივ ყურადღების ღირსად არ მიაჩნია, რადგან ისინი კლუბებისა და კაფეშანტანების სტუმრების არიან, ამიტომ ეს ორატორი თხოულობს, რომ ღამის მუშაობა ტრამვაის გაუქმდეს.

თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს და ორატორს აჩერებს.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი პროტესტს აცხადებს რამიშვილის სიტყვების გამო და თავმჯდომარეს უსაყვედურებს, რომ ორატორი არ შეაჩერა.

თავმჯდომარე. აკი შევაჩერე!

ხმ. დოლუხანოვი. შეაჩერეთ, მაგრამ გვიან. შემდეგ ორატორი არსებითად ეხება წინანდელ ორატორების ნალაპარაკევს და ამტკიცებს, ოომ თუ მართლაც საშიშრობა მოგველის ტრამვაის მოძრაობის შეჩერების მხრივ, ამაზედ დიდ გავლენას ვერ იქონიებს ზაფხულის განმავლობაში ღამით მუშაობა. დიდი-დიდი ზაფხულში მუშაობამ რამდენიმე თვით დააჩქაროს ტრამვაის მოძრაობის შეჩერება, მაგრამ რამდენიმე თვე გინდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ, ეს სულ ერთიაო. ორატორმა ამასთანავე იმოწმა საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი მოზმანოვი, რომელთანაც ვითომც ბ-ნ რამიშვილს უთქვამს, რომ წინააღმდეგი არავარ ღამით იმუშაოს ტრამვაიმ, რადგან ხალხი ისარგებლებსო.

ხმ. რამიშვილი პროტესტს აცხადებს უკანასკნელ სიტყვების გამო და ამბობს, რომ ასეთი არა მითქვამს რაო.

ხმ. მაზმანოვი. თავის მხრივ აცხადებს, რომ რამიშვილმა კი სთქვა ჩემთან: „თანახმა ვარ ტრამვაიმ იმუშაოს ღამით, რადგან ხალხი ისარგებლებსო“, ხოლო ვის გულისხმობდა ის „ხალხად“, არ ვიცი.

საბჭომ ხმის უმეტესობით ხარჯთაღრიცხვა შეიწყნარა და ღამის მუშაობა ტრამვაისა ძალაში დასტოვა—ხოლო განცხადება გამგეობისა შესახებ ღამის ვაგონების რაოდენობის შემცირებისა მოიწონა.

ა) თავმჯდომარემ წაიკითხა ტრამვაის მსახურთა შუამდგომლობის რამდენიმე მუხლი. შუამდგომლობა ერთობ ვრცელია და მსახურთა ცხოვრების მრავალმხრივ გაუმჯობესებას თხოულობს. მაგრამ უმთავრესი მუხლები შუამდგომლობისა ის არის, რომელნიც თხოულობენ, რომ მოსამსახურეთ ეხლავე მიემატოთ 50% ჯამაგირისა და შემდეგ ყოველ თვეობით კიდევ უნდა ემატოთ ათ-ათი პროცენტი, სანამ არ შესრულდება ერთნაირი ნორმა, რომელზედაც შეჩერებულან მოსამსახურენი. მოთხოვნილება ადიდებს ხარჯს 300 ათას მანეთამდე, მაგრამ ამ ჯამში შედის თუ არა ის 120 ათასი მანეთი, რომელიც საბჭომ წარსულ მარტში მიუმატა მსახურთ, გამგეობას ჯერ არ გამოურკვევია.

ა. ხატისოვს ბევრი მუხლი მოთხოვნილებისა სამართლიანად მიაჩნია, მაგრამ აცხადებს, რომ გამგეობას ვერ გადაუწყვეტია, რომელი წყაროებიდან დაიხუროს ეს ხარჯიო. ეს საკითხი მით უფრო მწვავეა, არატორის აზრით, რომ ტრამვაის სამოგზავრო ბილეთების ფასის გადიდების წინააღმდეგია საბჭო, ხოლო თუ ახალი წყარო სადმე არ გამოინახა, მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს ქალაქის თვითმართველობა, საფთხეში ჩაგდებს ქალაქის ფინანსებს. საკითხი კიდევ უფრო რთულდება იმ გარემობით, რომ ქალაქის დანარჩენი მსახურნიც ჯამაგირის მომატებას თხოულობენ და მათი მოთხოვნილებაც სამართლიანია, თუ ცხოვრების ეხლანდელ სიძვირეს ვიქონიებთ მხედველობაში. ეს უკანასკნელი ხარჯი კი 200 ათასი მანეთის გადადებას თხოულობს. ზემო-აღნიშნულ მიზეზთა გამო ბ-ნ თავმჯდომარეს საჭიროდ მიაჩნია, რომ ტრამვაის შუამდგომლობის წინასწარ განხილვა მიენდოს სატრამვაიო კომისიას.

ხმ. ბაბოვი. ამ აზრის არის, რომ შუამდგომლობის განხილვა მიენდოს საფინანსო კომისიას, რადგან ეს საკითხი ფინანსიურ მხარეს შეეხება და სატრამვაიო კომისიას აქ ადგილი არა აქვს.

თავმჯდომარე. წინააღმდეგი არ არის ხმ. ბაბოვის წინადადებისა, მაგრამ ისევ იმეორებს, რომ დღეს შეუძლებელია ამ საკითხის გადაწყეტაო.

ხმ. ჩერნიშოვი და რამიშვილი. თხოულობენ, რომ 50%-ის მომატების შესახებ ეხლავე გადაწყდეს საკითხი, ხოლო მოთხოვნილების დანარჩენი მუხლების განხილვა კომისიას გადაეცეს. ხმოსნებს ძალიან აკვარვებს ის მოვლენა, რომ როცა გამგეობის წევრებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, ფულები ხელად აღმოჩნდა და კომისია არავის გახსენებია, ეხლა-კი, როცა მუშებზეა, ლაპარაკი, კომისია მოაგონდათ, რათა საქმე მიჩქმალონ.

საბჭომ ხმის უმეტესობით საქმე წინასწარ განსალხილველად გადასცა საფინანსო კომისიას, რომელმაც თავისი მოხსენება 1 კვირის განძავლობაში უნდა წარმოუდგინოს საბჭოს.

საბჭოს ქანდარა გადაჭედილი იყო ტრამვაის მოსამსახურეებით.

კრება ნაშუალამევის 1 საათზე დასრულდა.

თეატრი

ხარფუხის კლუბი. ოთხშაბათს, 29 თიბათვეს, ხარფუხის კლუბში ქართული დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ავ. ცაგარლის „ხანუმა“. კლუბის ბაღს აუარებელი ხალხი მიაწყდა. დარბაზში არა თუ ცალიერი სკამი, ფეხზე დასადგომი ადგილიც არ იყო. შეუდარებელი იყვნენ ვ. აბაშიძე (აკოფა), ქ-ნი ჯავახიშვილი (ხანუმა). საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

საჩხერე. კვირას, 25 თიბათვეს აკურთხეს საჩხერეში ადგილობრივი თეატრი. თუმცა კურთხევაზე სხვა და სხვა პირები ჰყოლიათ მიწვეული, მათ შორის ლექტორნი კ. აბაშიძე და გ. გიორგაძე, მაგრამ ვერ მოვიდნენ. ხალხი ბევრი დაესწრო სხვა და სხვა დაბებიდან და საჩხერის მახლობელ სოფლებიდან. კურთხევა დაიწყო საღ. 8 საათზედ. სიტყვები წარმოსთქვა: მღ. მაჭარაშვილმა, ანეტა იურკევიჩმა, ვანო ვანელმა, შალიკო ხვადაბუნელმა, ვეშაპიძემ მ. მაჭავარიანმა და მას. ქამუშაძემ. ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა იანგო ავტალიდის რეჟისორობით წარმოადგინეს „სამშობლო“. შემდეგ ცეკვა გაიმართა, რასაც ვახშამი მოჰყვა. შემოსავალი მოხმარდება თეატრს.

შემოხვევით დამსწრე.

ს. ძვემო-მაჩხაანში ვ. ალუღიშვილის მეთაურობით წარმოდგენილ იქმნა: 1) „ცოლქმრობის წინააღმდეგ“ და „ეშვიანი ქმარი“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

შუქური.

შესწორება

„**უბედურ რუსის**“ პირველ თავში სამწუხაროდ შემდეგი შეცდომები შეპარულა. (იხ. „საქ.“ დამატება № 261).

2 გვერდის 2 სვეტზე ზემოდან 15 სტრიქონში და იმავე გვ. 3 სვ. ზემ. 23 სტრ. ნახმარია „უფლისწულს“. **უნდა იყოს ორივეგან** „უფლისწულის“.

2 გვ. 4 სვ. ზემ. 7 სტრ. დაბეჭდილია—„ძაფრათ“ **უნდა იყოს** ძაფსაო“.

2 გვ. 4 სვ. ზ. 8 სტრ. დაბეჭდ.—„გაციუნებული“. **უნდა იყოს**—„გაცბუნებული“.

2 გვ. ზ. 8 სტრ. დაბეჭ.—„თვით“. უნდა იყოს—„თავით“.

3 გვ. 2 სვ. ზ. 7 სტრ. „ტრიალი“—„**ჭრიალი**“.

3 გვ. 3 სვ. ზ. 10 სტრ. „იშათ“—„**იამათ**“.

4 გვ. 3 სვ. ზ. 20 სტრ. „მომდომი“—„**მიმნდობი**“.

4 გვ. 4 სვ. ზ. 6 სტრ. „როქის პირნი“—„**როქის სპისანი**“. იქვე, 4 სვ. 14 სტრ. „გამეფებულ“—„**გაძევებულ**“. აგრეთვე ყველგან ასე უნდა იყოს დაბეჭდილი შემდეგი სიტყვები: „**ყივჩაყთა**“, „**აბულ-ასანი**“, „**ზანქანი**“ და არა სხვანაირად.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო ფანფიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „	საღ.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ფეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა „ფელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ტ ფიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკასკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „ეშმაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თეატრის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განუოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სა[illegible] მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „„[illegible] შოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა [illegible] ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკებ[illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

[illegible] „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.